Funded by the European Union and the Council of Europe
EUROPEAN UNION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Implemented by the Council of Europe

ქ. ჭიათურის საბაზო გეგმა

თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS)

ჭიათურა, 2016

Funded by the European Union and the Council of Europe
EUROPEAN UNION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Implemented by the Council of Europe

რეზიუმე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, შეზღუდული რესურსების პირობებში, უმნიშვნელოვანესია პრიორიტეტების სწორად გამოკვეთა და სახსრების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა. საბაზო გეგმის მიზანია დაეხმაროს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას ადგილობრივი ჩართულობის საფუძველზე საშუალო და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და ქმედებების განსაზღვრაში, რაც საფუძვლად დაედება მათი განხორციელებისა და შესრულების მონიტორინგის შემდგომ ეტაპებს.

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, საბაზო გეგმა ასახავს ქალაქ ჭიათურის განვითარების ობიექტურ შესაძლებლობებს, რომელიც განსაზღვრულია დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის გზით და ემსახურება კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციიის მეშვეობით საცხოვრებელი გარემოს და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ადგილობრივ მცხოვრებთათვის.

Funded by the European Union and the Council of Europe
EUROPEAN UNION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Implemented by the Council of Europe

ანალიზი

1. ძირითადი ინფორმაცია

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი - ქალაქი ჭიათურა მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ჭიათურის პლატოსა და მდინარე ყვირილის ვიწრო ხეობაში, ზღვის დონიდან 350-500 მეტრზე. ჭიათურა ისტორიულ წყაროებში 1879 წლიდან მოიხსენიება, ხოლო ქალაქის სტატუსი 1917 წლიდან მიიღო. 2016 წლის მდგომარეობით ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 12800 ადამიანს შეადგენს.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, სტრუქტურული იერარქიის თვალსაზრისით ქ. ჭიათურის პოზიცია განსაზღვრულია შემდეგნაირად:

i. ნაციონალური დონე
ii. იმერეთის რეგიონი
iii. ჭიათურის მუნიციპალიტეტი
iv. ჭიათურის ადმინისტრაციული ერთეული - ქალაქი ჭიათურა.

ჭიათურაში საკმაოდ ნოტიო ზღვის სუბტროპიკული ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული. მუნიციპალიტეტში ჰაერის საშუალო ტემპერატურაა +13^0. ნალექები 1100 მმ. წელიწადში. საშუალო წლიური ტენიანობა - 70%-ია.

რეგიონული სახმელეთო კავშირი გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზითა და საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის სარკინიგზო ხაზით არის უზრუნველყოფილი. თბილისსა და ჭიათურას შორის მანძილი 200 კმ-ია, ჭიათურასა და ქუთაისს შორის კი 82 კმ-ი. ქუთაისში მდებარეობს უახლოესი საერთაშორისო აეროპორტი. უახლოესი საზღვაო პორტი კი - ფოთი ჭიათურისგან 167 კმ-ით არის დაშორებული.

რუკა 1. ჭიათურის მდებარეობა ქვეყნის კონტექსტში

2. ქალაქის მნიშვნელობა

ჭიათურას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ქალაქებს შორის მისი მნიშვნელობით, რასაც უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს მანგანუმის მრეწველობა. თუმცა ქალაქს გააჩნია სხვა რესურსებიც, რომელიც დღეს, მისი მდგრადი განვითარების გზების ძიებისას, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადსაღებოა.

ა) მანგანუმის მრეწველობა და სხვა წიაღისეული

ჭიათურა სამართლიანად ითვლება საქართველოში ერთ-ერთ პირველ ინდუსტრიულ ქალაქად. მანგანუმის აღმოჩენამ და მოპოვება-გადამუშავების სწრაფმა განვითარებამ განაპირობა ჭიათურის, როგორც ქალაქის ფორმირება. მანგანუმის მრეწველობა ქალაქის ისტორიისა და დღევანდელობის განუყოფელი ნაწილია. სხვადასხვა პერიოდებში მანგანუმის ექსპორტი და გადამუშავება კერძო მესაკუთრეთა, ხან კი სახელმწიფოს მიერ ხდებოდა. შესაბამისად იცვლებოდა ქალაქისათვის და ქვეყნისათვის მისი სარგებელი. მიუხედავად ამისა, მანგანუმის წარმოება იყო და რჩება ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ რესურსად. ჭიათურა, როგორც მანგანუმის მოპოვების ერთადერთი ადგილი საქართველოში, გამორჩეულია ქვეყნის ეკონომიკისათვის მისი მნიშვნელობით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია სხვა სასარგებლო წიაღისეულითაც. მაღალი ხარისხის მარმარილოსა და კვარცის ქვიშის მოპოვება-წარმოებას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საბჭოთა პერიოდში და კვლავ აქვს პოტენციალი ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ ძალად იქცეს.

ბ) ურბანული ლანდშაფტი

მდინარე ყვირილას ღრმა კანიონში და პლატოებზე განლაგებული სამრეწველო და ურბანული ინფრასტრუქტურა ამ ორი განსხვავებული ფუნქციური ელემენტის სინთეზის საინტერესო ქალაქგეგმარებით გადაწყვეტას წარმოადგენს, რომლის არსებითი და განუყოფელი ელემენტია საჰაერო საბაგირო გზები. ითვლება, რომ სწორედ ჭიათურაშია იყო საბჭოთა კავშირში პირველი სამგზავრო საჰაერო საბაგირო გზა (1953), თუმცა სამრეწველო მიზნებით საბაგიროები ჭიათურაში გაცილებით უფრო ადრეც გამოიყენებოდა.

ჭიათურაში თვალნათლივ ჩანს ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების პროცესი და შედეგად ისტორიული ლანდშაფტის სახეცვლილება. ეს, ერთის მხრივ, ქალაქის მახასიათებელია მისი ტრადიციული სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიიდან გამომდინარე, მეორეს მხრივ კი საჭიროებს რეგულირებას გარემოსდაცვით და ლანდშაფტის დაცვით ასპექტებთან შესაბამისობის მიზნით.

გ) მრავალფეროვანი და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა

ჭიათურა გამორჩეულია კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებით, როგორც ტიპოლოგიურად, ასევე ქრონოლოგიურად. ქალაქი ერთგვარი უწყვეტი ისტორიაა ადამიანის ყოფის განვითარებისა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, სადაც თვითეულმა ეპოქამ მეტად მნიშვნელოვანი და ღირებული კვალი დატოვა.

ქალაქის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არსებული კარსტული მღვიმეების დიდი ნაწილი **პალეოლითის ხანის ადამიანის ნამოსახლარებს ინახავს.** ამ მღვიმეებისა და გამოქვაბულების მეტად მცირე ნაწილია შესწავლილი და უდიდეს პოტენციალს შეიცავს არქეოლოგიური და სპელეოლოგიური სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით. ძუძუანასა და ბონდის გამოქვაბულებში აღმოჩენილი **მსოფლიოში უძველესი ძაფის ნაშთები,** ადასტურებს სამეცნიერო- კვლევითი თვალსაზრისით ჭიათურის უდაო საერთაშორისო მნიშვნელობას.

ჭიათურის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს **შუა საუკუნეების არქიტექტურა**, როგორიცაა **მღვიმევის მონასტერი,** ქალაქიდან 10 კილომეტრში მდებარე **კაცხის მონასტერი და კაცხის უნიკალური სვეტი,** რომელიც ბუნებისა და ადამიანის ერთობლივი შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშია.

ქალაქის ისტორიული **ურბანული ქსოვილი** მდიდარია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნეების დამახასიათებელი არქიტექტურული ნიმუშებით.აქ გვხვდება ეკლექტიზმი, Art-nuveau, კონსტრუქტივიზმი, საბჭოთა ამპირი, გვიანი მოდერნიზმი. თუმცა ჭიათურის ურბანულ მნიშვნელობას და იერსახეს უპირატესად მე-20 საუკუნის არქიტექტურა განსაზღვრავს. ამ ნაგებობების უმეტესობა მიტოვებული და სარეაბილიტაციოა, თუმცა სწორი მიდგომის შემთხვევაში ისინი ქალაქის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სივრცით რესურსს წარმოადგენენ.

Funded by the European Union and the Council of Europe
EUROPEAN UNION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Implemented by the Council of Europe

არქიტექტურულ ნიმუშებს შორისგანსაკუთრებული ადგილი უჭირავს **საჰაერო საბაგირო გზების სადგურებს,** რომელთა შორის გამოირჩევა ე.წ. სტალინური არქიტექტურის ნიმუში, თავდაპირველი სახით შემორჩენილი, დღემდე მოქმედი უადრესი სამგზავრო საბაგირო სადგური და მისი საინჟინრო ინფრასტრუქტურა (1953), ასევე მოდერნისტულ და ბრუტალისტურ სტილში აგებული 1960-70-იანი წლების სადგურები. ინდუსტრიულ მემკვიდრეობასთან ერთად,**საჰაერო საბაგირო გზები ჭიათურის საერთაშორისო ცნობადობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია, რაც ქალაქში უცხოელ დამთვალიერებელს იზიდავს.**

ქალაქში უმთავრესი ღირსება, რაც მას სრულიად გამორჩეულ და უნიკალურ ხასიათს ანიჭებს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით - **მანგანუმის მრეწველობასთან დაკავშირებული ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა**ა. ქალაქის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მრავლადაა როგორც გაუქმებული, ასევე მოქმედი ისტორიული წოლხვრელები, გვირაბები, სატვირთო საჰაერო საბაგიროები, მადნის მამდიდრებელი ფაბრიკები, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა და მათი საინჟინრო ინფრასტრუქტურა. ამ ინფრასტრუქტურის ყველაზე ღირებული ელემენტების შენარჩუნება, ფრთხილი რეაბილიტაცია და, საჭირო შემთხვევაში, ახალი ფუნქციებით დატვირთვა ჭიათურის განვითარებისათვის უდიდესი პოტენციალის შემცველია.

კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რესურსად გამოყენების თვალსაზრისით ისახება შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

- 1990-იანი წლებიდან დეგრადირებული მანგანუმის წარმოებამ და ქვეყნის ზოგადმა სოციალურ-ეკონომიკურმა დაღმასვლამ უდიდესი ზარალი მიაყენა ჭიათურას. ამორტიზებული ურბანული და საწარმოო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი რეაბილიტაცია ქალაქის ერთ ერთი ძირითადი გამოწვევაა. ამ პრობლემის ნაწილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის, კერძოდ საჰაერო საბაგირო გზების და სარკინიგზო სისტემის დეგრადირება.
- ქალაქის უდიდესი პრობლემაა მისი ტერიტორიის კერძო კომპანიიაზე გაცემული ლიცენზიის სამთო მინაკუთვნში შეტანა 2006 წელს, რაც ქალაქის რეალური თვითმმართველობის განხორციელების და ჯანსაღი სივრცითი განვითარების არსებითი შემაფერხებელი ფაქტორია.
- ჭიათურას, როგორც საქართველოს სხვა ინდუსტრიულ ქალაქებს ძირითად პრობლემად უდგას წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავების სტანდარტების უგულვებელყოფის შედეგად გარემოს უკიდურესი დაბინძურება. ამ საკითხის მოგვარება, რომელიც დაკავშირებულია სუფთა სასმელი წყლის მიწოდებასთან, მდინარის გაწმენდასთან, ჰაერის დაბინძურების აღკვეთასთან, სარეკრეაციო ინიფრასტრუქტურის რეაბილიტაციასთან ა.შ.

ერთ ერთი წინაპირობაა ქალაქის მდგრადი განვითარებისთვის და ჯანსაღი საცხოვრებელი პირობების შექმნისათვის.

- ისევე როგორც სხვა მცირე ქალაქებისთვის, თვითმმართველობის და სახელმწიფო ინსტიტუციების შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსები ჭიათურისთვისაც მთავარ გამოწვევად რჩება. პროფესიული რესურსების ნაკლებობა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ემიგრაციის და უმუშევრობის მაღალ დონესთან.
- სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილოების გამოცდილების და პოზიტიური ჩართულობის გამოცდილების ნაკლებობა, რაც არსებითად განპირობებულია იმით, რომ წლების განმავლობაში არ ხდებობა მათი ჩართვა ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების დადგენის, საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების საკითხებში.

4. COMUS-ის სამოქმედო პერიმეტრი და ქალაქი

COMUS-ის სამოქმედო პერიმეტრი მოიცავს ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, სადაც განლაგებულია ძირითადი ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და კომერციული ფუნქციები. ამ პერიმეტრშია განლაგებული კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა და ყოფილი კინო, თეატრი, რესტორანი, სხვადასხვა სერვისები, ბანკები, აფთიაქები მცირე კვების და სავაჭრო წერტილები. ეს ტერიტორია ქალაქის ურბანულ ბირთვს წარმოადგენს.



სურ 1: ჭიათურის თეატრი, 2016

5. ჭიათურის ისტორიული განვითარების მიმოხილვა

არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც მრავლად არის ჭიათურის ტერიტორიაზე ადასტურებს, რომ ჭიათურის მიდამოები უძველესი დროიდან იყო დასახლებული. თუმცა ჭიათურის, როგორც ქალაქის წარმოშობა განაპირობა ამ მიდამოებში აღმოჩენილმა მანგანუმის მდიდარმა საბადომ. XIX-XX საუკუნეების 80-იანი წლებიდან, ჭიათურა ცნობილი გახდა, როგორც მანგანუმის საბადოს მდიდარი კერა, რომლის მეცნიერული შესწავლის პიონერად ითვლება გერმანელი გეოლოგი ჰერმან აბიხი, მანგანუმის რეალური მოპოვების დაწყება კი ქართველი მწერლის, პოეტის და საზოგადო მოღვაწის - აკაკი წერეთლის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1879 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ამ საქმეს. აქ დაიწყო ჭიათურის, როგორც ქალაქის განვითარების ისტორია.

წარმოების სწრაფ განვითარებას ხელს უწყობდა საბადოს დამუშავების ხელსაყრელი პირობები, მოპოვებული მადნის მაღალი ხარისხი და დასავლეთ ევროპის ქვეყენებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სწრაფად მზარდი ფოლადის წარმოება. ქართული მანგანუმი უმეტესად საექსპორტოდ იყო განკუთვნილი. ქართულ მადანს მოიხმარდა ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია-უნგრეთი, აშშ და ა.შ.[1] ჭიათურის მადანს იყენებდნენ ისეთი მსხვილი მეტალურგიული საწარმოები, როგორებიც იყო ამერიკული ბეთლემსტილკორპორეიშენი (BethlehemSteelCorporation), გერმანული კრუპი (Krupp) , იტალიური ილვა (ILVA) და ა.შ.[2]

არაერთი სირთულის მიუხედავად, საბადოს დამუშავების დღიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, მადნის ამოღება და ექსპორტი სტაბილურად იზრდებოდა და თავის ზენიტს 1913 წელს მიაღწია. 1910-1914 წლებში საერთაშორისო ბაზარზე წლიურად საშუალოდ 788 ტონა იგზავნებოდა. 1913 წლისთვის საქართველო მანგანუმის მადნის პირველი უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა იყო - მადნის მსოფლიო ექსპორტის 50% საქართველოზე მოდიოდა.[3]

მანგანუმის მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ, შორაპნის მაზრის სოფელი ჭიათურა, დროთა განმავლობაში სამთამადნო მრეწველობის ცენტრად იქცა. ჭიათურა იყო მოპოვებული მადნის პირველი შემკრები პუნქტი, სადაც თავს იყრიდნენ მადნის მტვირთავები, მაღაროს მუშები, მკვიდრი მოსახლეობა. მოსახლეობისა და წარმოებაში დასაქმებული მუშების საჭიროებების

[1] ჭიათურა-ზესტაფონისსამრეწველოკვანძი,
საქართველოსმეცნიერებათააკადემიისვახუშტიბაგრატიონისსახელობისგეოგრაფიისინსტიტუტისშრომათაკრებულიც. იანქოშვილისრედაქტორობით, თბილისი, 1973, გვ. 139
[2] ვლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრომი,გვ.404
[3] ჭიათურა-ზესტაფონისსამრეწველო... გვ. 85

Funded by the European Union and the Council of Europe
EUROPEAN UNION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Implemented by the Council of Europe

დაკმაყოფილების მიზნით „მრეწველთა ყრილობის“ ინიციატივით, უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში საქალაქო ინფრასტრუქტურის მრავალი ობიექტი აშენდა, მათ შორის ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის შენობა (1904), აბანო, საავადმყოფო, საკვირაო სკოლა, თეატრი (1894, 1906), გაიხსნა სასადილო მუშებისათვის და სხვა.[4] მრეწველთა ინიციატივით აშენდა ცენტრალური ელექტროსადგური, გაყვანილ იქნა წყალსადენი და კანალიზაცია, ელექტროგანათებისა და სატელეფონო ქსელი[5] (1907). რაც უფრომეტად ემსგავსებოდა ჭიათურა ქალაქურ დასახლებას, მით უფრო ხშირად განიხილებოდა ჭიათურაში ქალაქის ტიპის მმართველობითი სისტემის შემოღების საკითხიც. საბოლოოდ ჭიათურა ქალაქად 1917 წელს გამოცხადდა[6].

პირველმა მსოფლიო ომმა და დარდანელის სრუტის გადაკეტვამ უეცრად შეაჩერა ზენიტში მყოფი მრეწველობა. ამას თან ახლდა რთული შიდაპოლიტიკური ვითარება. შედეგად 1921 წლისთვის მანგანუმის მადნის წარმოება მთლიანად შეწყდა.

ქართული მანგანუმის წარმოების და შესაბამისად, ჭიათურის განვითარების ახალი ეტაპი ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ დაიწყო. რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით მანგანუმის მადნის საწარმოები ნაციონალიზებულ იქნა. 1925 წელს კი ჭიათურის წარმოება კონცესიის წესით ამერიკელ პოლიტიკოსსა და მრეწველს უილიამ ავერელ ჰარიმანს (1891-1986) (W.Averell Harriman) გადაეცა. ჰარიმანს ფეხზე უნდა დაეყენებინა ჩავარდნილი წარმოება, თუმცა მისი საქმიანობა ჭიათურაში წარუმატებელი აღმოჩნდა. ხელშეკრულება 1928 წელს გაუქმდადა მანგანუმის წარმოება მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ამავე წელს კომუნისტური პარტიის დადგენილებით ამოქმედდა პირველი ხუთწლიანი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიცქვეყნის სწრაფ ინდუსტრიალიზაციასისახავდა მიზნად. ძირეული ცვლილებები ჭიათურის მანგანუმის მრეწველობასაც შეეხო. პირველ „ხუთწლედში“ (1928-1932) დაიწყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობაც, რომელიც დღემდე ჭიათურის მანგანუმის მადნის ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელია. ამ პერიოდიდან გაიზარდა მადნის წარმოება და შიდა ექსპორტი, პარალელურად ქართული მანგანუმი კვლავაც ინარჩუნებდა ადგილს საერთაშორისო ბაზარზე.

1928 წელს საბჭოთა მმართველობის ადრეულ ეტაპზევე ჩამოყალიბდა ჭიათურის მანგანუმის ტრესტი, რითაც დაიწყო ჭიათურის მშენებლობის ახალი ეტაპი. 1953 წელს ჭიათურაში აშენდა

[4] ვლ. ჭანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 265
[5] იქვე, გვ. 379
[6] შავიოქროსქალაქი, საბჭოთასაქართველო, 1979 გვ. 12

პირველ სამგზავრო საბაგირო გზა, ქალაქის ცენტრსა და სამრეწველო უბანს შორის. 1949 წელს აშენდა თეატრის შენობა. 1968 წელს - კულტურის სასახლე.

1990-იანი წლების პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდატეხამ წარმოება კიდევ ერთხელ დააყენა ჭიათურა რთული გამოწვევების წინაშე. მოიშალა საწარმოო ინფრასტრუქტურა: მიწისქვეშა გვირაბები, ფაბრიკები და მათი დამხმარე შენობა-ნაგებობები, სატვირთო საბაგირო გზები და ა.შ. 2006 წლიდან საბადო, წარმოება და მთელი ინფრასტრუქტურა გრძელვადიანი ლიზენციით გადაეცა „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედს“, რომელიც „ჭიათურმანგანუმის“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის მფლობელია.

სურ 2. ჭიათურის ხედი, 2016

6. მემკვიდრეობის როლი ქალაქის განვითარებაში

6.1 კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა

ჭიათურა გამორჩეულია კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებით, როგორც ტიპოლოგიურად, ასევე ქრონოლოგიურად. ქალაქი ერთგვარი უწყვეტი ისტორიაა ადამიანის ყოფის განვითარებისა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, სადაც თვითეულმა ეპოქამ მეტად მნიშვნელოვანი და ღირებული კვალი დატოვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით კარსტული მღვიმე, ეკლესია-მონასტერი, კლდეში ნაკვეთი ციხეა გაბნეული. აღნიშნული ძეგლების ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა დასტურდება არაერთი მეცნიერული კვლევითა და ნაშრომით.

პირველი დასახლებები დღევანდელი ჭიათურის მიდამოებში უძველესი დროიდან (ძვ.წ. აღ.III-IV ათასწლეული) წარმოიშვა, რასაც ადასტურებს ჭიათურის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი არტეფაქტები. ძუძუანასა და ბონდის გამოქვაბულმა, სადაც ნაპოვნია მსოფლიოში უძველესი ძაფის ნაშთები ჭიათურას გაუთქვა სახელი მთელ მსოფლიოში.ჭიათურის მიდამოებში მდებარეობს ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ჭიპიანისკლდის მღვიმე და სატოპავის მღვიმე. ამ მღვიმეებისა და გამოქვაბულების მეტად მცირე ნაწილია შესწავლილი და უდიდეს პოტენციალს შეიცავს არქეოლოგიური და სპელეოლოგიური მიმართულებით.

ჭიათურის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს **შუა საუკუნეების არქიტექტურა**, როგორიცაა **მღვიმევის მონასტერი,** ქალაქიდან 10 კილომეტრში მდებარე **კაცხის მონასტერი და კაცხის უნიკალური სვეტი,** რომელიც ბუნებისა და ადამიანის ერთობლივი შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშია.

მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე შეფენილი ჭიათურის ისტორიული ცენტრის განაშენიანება დაკლაკნილი აღმართებითაა დაქსელილი. ქალაქის ამ ნაწილს სპონტანური განაშენიანების ხიბლი დღემდე მოჰყვება. მარცხენა სანაპიროს ფერდობი „ევროპული ყაიდის“ შენობა-ნაგებობებით მეტადაა გაჯერებული. აქ პირველ მრეწველთა საქმიანობის კვალი ჯერაც იკითხება. ქალაქში მრავლადაა 19-საუკუნის ბოლოსა და -20 საუკუნეების დამახასიათებელი არქიტექტურული ნიმუშები: ეკლექტიზმი, Art-nuveau, კონსტრუქტივიზმი, საბჭოთა ამპირი, გვიანი მოდერნიზმი. ამ ნაგებობების უმეტესობა მიტოვებული და სარეაბილიტაციოა, თუმცა სწორი მიდგომის შემთხვევაში ისინი ქალაქის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სივრცით რესურსს წარმოადგენენ.

Funded by the European Union and the Council of Europe
EUROPEAN UNION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Implemented by the Council of Europe

დღეისათვის ჭიათურაში მხოლოდ რამოდენიმე ობიექტია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეტანილი, თუმცა მოსალოდნელია, რომ ჯეროვანი ინვენტარიზაციის შედეგად ეს ნუსხა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ინდუსტრიული მემკვიდრეობის კვლევამ 2015 წელს 80-მდე მნიშვნელოვანი ობიექტი გამოავლინა, რომელსაც შემდგომი კვლევა და დაცვა და რეაბილიტაცია ესაჭიროება.

საჰაერო საბაგირო გზები

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებიდან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ჭიათურის საჰაერო საბაგირო გზები, რომელიც ქალაქის ცნობადობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უპირველესი ფენომენია.

ჭიათურაში საბაგირო გზების მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულს დაისვა.[7] თუმცა იდეამ ფართო გასაქანი მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან წლებიდან მიიღო. ადგილობრივმა სპეციალისტებმა მრავალი სატვირთო და სამგზავრო საბაგირო გზა ააგეს. მადანი მამდიდრებელ ფაბრიკებს სატვირთო საბაგიროებით უწყვეტად მიეწოდებოდა, სამგზავრო საბაგირო გზები კი უზრუნველყოფენ კავშირს ზეგნებზე განლაგებულ სოფლებსა და მაღაროებს, ასევე ქალაქ ჭიათურის უბნებს შორის. საბაგირო სისტემის განვითარებას ხელი შეუწყო რთულმა რელიეფმა და საბაგირო მალევე გადაიქცა მოსახერხებელ და სწრაფ ტრანსპორტად.

ითვლება, რომ სწორედ ჭიათურაში აიგო საბჭოთა კავშირში პირველი საჰაერო საბაგირო გზა. ასეთად სახელდება 1953 წელს აგებულიჭიათურა-პერევისას („ოცდახუთის“) სახალხო საბაგირო, რომელსაც მოგვიანებით კიდევ ერთი ხაზი - „საშევარდნო“ დაემატა. ჭიათურის ბაგირ-გზების განვითარებას სათავეში ედგა ინჟინერი **გიორგი ფანცულაია** (1911-1982) მისი თაოსნობით აიგო არაერთი საჰაერო საბაგირო გზა საქართველოში, ასევე საბჭოთა კავშირში.

სამგზავრო საბაგირო გზების სადგურები გაბნეულია ჭიათურა-საჩხერეს გზაზე, ზეგნებზე განლაგებულ დასახლებებსა და სოფლებში, ქალაქის სხვადასხვა ნაწილში. ყურადღებას იქცევს საბაგირო გზების საინჟინრო გადაწყვეტა და სადგურების სტილისტური მრავალფეროვნება. აქ შეხვდებით როგორც მცირე ზომის ფარდულის ტიპის შენობებს, ასევე საბჭოთა არქიტექტურის სხვადასხვა ეტაპისთვის დამახასითებელ, ტიპიურ თუ საავტორო პროექტებით შექმნილ, ნაგებობებს.

ქალაქის ლანდშაფტში აქცენტებად იკითხება საბაგირო სადგურების მონუმენტური, „სტალინური“ არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მოცულობები, გვიანი საბჭოთა მოდერნიზმისთვის

[7] იქვე, გვ. 209

სახასიათო, სადა, სწორხაზოვანი და პლასტიური ფორმები, ლითონის მაღლივი კონსტრუქციები, ბრუტალისტური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი, უხეში ბეტონით დამუშავებული მონოლითური ფორმები. საჰაერო საბაგირო გზების კარგად განვითარებული სისტემა და სადგურების დახვეწილი და მრავალფეროვანი არქიტექტურული იერსახე განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ქალაქს და მისი ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია.

ჭიათურაში სატვირთო საბაგირო გზების ნაწილი დღესაც ფუნქციონირებს, თუმცა სატვირთო მანქანებით მადნის გადაზიდვის ტენდენცია სულ უფრო მეტად შეიმჩნევა. სამანქანო ტრანსპორტით მადნის ზიდვა გზების ასევე ჰაერის ხარისხის გაუარესებას განაპირობებს. დღევანდელი გადმოსახედიდან კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება მადნის საჰაერო ტრანსპორტით ზიდვის უპირატესობები, თუმცა ამ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია განუზომლად დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ამ ეტაპზე არ განიხილება მესაკუთრე კომპანიის მიერ.

ინდუსტრიული მემკვიდრეობა

ქალაქის უმთავრესი ღირსება, რაც მას სრულიად გამორჩეულ და უნიკალურ ხასიათს ანიჭებს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით - **მანგანუმის მრეწველობასთან დაკავშირებული ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა**ა. ქალაქის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მრავლადაა როგორც გაუქმებული, ასევე მოქმედი ისტორიული წოლხვრელები, გვირაბები, სატვირთო საჰაერო საბაგიროები, მადნის მამდიდრებელი ფაბრიკები, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა და მათი საინჟინრო ინფრასტრუქტურა. ამ ინფრასტრუქტურის ყველაზე ღირებული ელემენტების შენარჩუნება, ფრთხილი რეაბილიტაცია და, საჭირო შემთხვევაში, ახალი ფუნქციებით დატვირთვა ჭიათურის განვითარებისათვის უდიდესი პოტენციალის შემცველია.

მანგანუმის მრეწველობის ისტორია ქვეყნის სოციო-ეკონომიკური ცხოვრების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარებისა და, ზოგადად, საქართველოს ინდუსტრიული კულტურის ფასეული და განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ინდუსტრიული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და პოტენციალის შესწავლა სულ ახლახან დაიწყო. აღნიშნული საკითხის შესახებ ცოდნა სისტემატიზებული სახით ჯერაც არარსებობს. იგი სხვადასხვა ინსტიტუციებში, დარგის სპეციალისტებში, მშრომელთა პერსონალურ ისტორიებსა და გამოცდილებებშია გაბნეული. ამდენად ხელმიუწვდომელია ფართო საზოგადოებისა და ახალგაზრდა თაობებისთვის.

წარმოების მოდერნიზაციის პროცესი კი მნიშნელოვანი არქიტექტურული და ტექნოლოგიური არტეფაქტების დაკარგვის საფრთხეს ქმნის, რომელთა აღდგენა მომამავლში შეუძლებელი იქნება.

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჭიათურაში ინდუსტრიის მუზეუმის დაფუძნების საკითხი.

სურ 3: ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, 2016

6.2 კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებადობა

ჭიათურაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებიდან სამწუხაროდ ბევრია ვაკანტური, მიტოვებული და ფიზიკურად ცუდ მდგომარეობაში. ეს ტენდენცია უმეტესად გამოწვეულია მოსახლეობის მასიური გადინებით ქალაქიდან, საქალაქო ფუნქციების დეგრადაციის და ეკონომიკური სიდუხჭირით.

2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად პროექტის სამოქმედო არეალში არაერთი ღირებული და ცარიელი შენობა დააფიქსირდა. ამ მიტოვებული ან ნაწილობრივ მიტოვებული შენობა-ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდება უფუნქციობით და მოუვლელობით. მათ შორისაა ყოფილი ავტოსადგური, ყოფილი ბანკის შენობა, უმოქმედო საბაგირო სადგურები, ყოფილი საავადმყოფო, ე.წ. პიონერთა სასახლე და სხვა. მნიშვნელოვან სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს საფეხბურთო სტადიონი, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობა, რომლიც აჟამად უფუნქციო სააქტო დარბაზში არაერთი საინტერესო ფუნქციის შეტანა შეიძლება.



რუკა 2: შენობების საკუთრება, 2016

ამ შენობა-ნაგებობების გადარჩენა და მათთვის თავდაპირველი ან რაიმე სხვა ფუნქციის მინიჭება ჭიათურის თვითმყოფადობის შენარჩუნების ტოლფასია და უშუალო კავშირშია ქალაქის ფუნქციური მრავალფეროვნების განვითარებასთან.

6.3 საფრთხეები და რისკები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისთვის

ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე, რაც ემუქრება ჭიათურისისევე, როგორც სხვა მცირე ქალაქების კულტურულ მემკვიდრეობას არის მოუვლელობისა და უფუნქციობისგან ფიზიკური დეგრადაცია და გაპარტახება.

ქალაქში პრაქტიკულად არ ხდება ახალმშენებლობებში ინვესტირება. პირიქით, ძველი შენობების დემონტაჟი და მეორად მასალად გაყიდვა შემოსავლის ერთგვარი წყაროა მესაკუთრეთათვის (მაგალითად, ცენტრალური მამდიდრებელი ქარხნები (ცდფ 1 და 2)), რაც არქიტექტურულად ღირებულ ნაგებობებს ნგრევის რეალური საფრთხის ქვეშ აყენებს. მესაკუთრეთა მიერ პერმანენტული გადაკეთებები დამატებით აზიანებს მათ ავთენტურობას და არქიტექტურულ იერსახეს.

ამ სიტუაციის დარეგულირების თვალსაზრისით საშურია ჭიათურის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხის განახლება, კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების, ისტორიულ კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება და შესაბამისი რეგულაციების დაწესება.

სურ. 4: ინტერიერი, საბაგირო სადგური ქალაქი პერევისა, 2016

7. სოციალურ-ეკონომიკური პირობები

7.1 დემოგრაფია

2002 წლის 17იანვრის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ქ. ჭიათურის მუდმივიმოსახლეობა 13 788კაცი იყო, დღეისათვის ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 12 800 კაცს.

მოსახლეობი სრაოდენობა და ზრდის მაჩვენებელი სხვადასხვა დროს განსხვავებული მონაცემებით ხასიათდებოდა (ილუსტრაცია 4).



	1989 წელი	2002 წელი	2014 წელი
სულ	68501	56341	39800
ქალაქი	29228	13788	12800
სოფელი	39273	42553	27000

ცხრილი 1. ქალაქ ჭიათურის მოსახლეობის დინამიკა აღწერების მონაცემების მიხედვით

1989-2014 წლის პერიოდში ქალაქის მოსახლეობა შემცირდა 44%-მდე ანუ კლების საშუალოწლიური მაჩვენებელია -1,76%. მოსახლეობის მოძრაობის პროცესი ყველაზე მეტ გავლენას ასაკობრივ სტრუქტურაზე ახდენს. მიგრაციული პროცესები პირველ რიგში კარგავს ახალგაზრდა მწარმოებლურ ასაკს, რაც იწვევს მოსახლეობის „დემოგრაფიულ დაბერებას“, რაც ჭიათურაში ხასიათდება მაღალი დონით.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის ინფორმაციით ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში ქართველთა ხვედრითი წილი 99 %-იყო. ეროვნული უმცირესობებიდან ყველაზე მეტია სომეხი ეროვნების მოსახლეობა, გარდა ამისა ქალაქში მცირე რაოდენობით ცხოვრობს რუსი, ოსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მოსახლეობა.

7.2 ეკონომიკა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სამრეწველო სექტორი ყოველთვის გამოირჩეოდა მსხვილი სამრეწველო საწარმოების სიმრავლით, სადაც საბჭოთა პერიოდში 20 ათასამდე ადამიანი იყო დასაქმებული. 1990-იან წლებში სამრეწველო წარმოების დონე მნიშვნელოვნად დაეცა და შედეგად ქალაქის შიდა პროდუქტში მრეწველობის ხვედრითი წილი მეტად შემცირდა. საწარმოთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ძირითადი პროფილის მიხედვით რენტაბელურ ფუნქციონირებას და მათი საქმიანობა ცალკეული მცირე მოცულობის დაკვეთების შესრულებით და სხვა დროებითი შემოსავლების მიღებით (საწარმო ფართობების გაქირავება, იჯარით გაცემა, ქონების გაყიდვა და ა.შ.) შემოიფარგლებოდა.

ამ გარემოებიდან და ასევე პოსტ-საბჭოითა პერიოდისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, საწარმოთა უმეტესობა, მათ შორის ძირითადი - ჭიათურის მანგანუმის ინდუსტრია - გაიყიდა კერძო კომპანიებსა და კორპორაციებზე, თუმცა პრივატიზაციამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ვერ შეიტანა ქალაქის განვითარებაში.

საბჭოთა პერიოდთან შედარებით წარმოების გაცილებით დაბალი სიმძლავრის მიუხედავად, ქალაქის ეკონომიკაში დღესაც ძირითად როლს ასრულებს მანგანუმის მრეწველობა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად დამსაქმებელს წარმოადგენს. ჭიათურა ამიერკავკასიაში მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ცენტრად რჩება. ჭიათურაში მოპოვებული მანგანუმი დღეისათვის საქართველოს საერთო ექსპორტის 10%-ს შეადგენს.

მანგანუმის ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილებია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ვარციხის ჰიდროელექტროსადგური და რკინიგზა. აქედან როგორც ფეროშენადნობთა ქარხანა, ასევე ჰესი მანგანუმის საბადოებთან და ადგილობრივ გადამამუშავებელ ქარხნებთან ერთად „ჯორჯიან მანგანეზს“ ეკუთვნის. დღეისათვის მანგანუმის ინდუსტრიაში დასაქმებულია 3 500 ადამიანი.

მუნიციპალიტეტის სხვა რესურსებიდან მნიშვნელოვანია ტყის რესურსები (მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაახლოებით 45%) და ასევე იშვიათი წიაღისეულით, როგორიცაა მარმარილო, კვარცის ქვიშა, ინერტული მასალები, სამშენებლო ქვა და სხვა. სოფლის მეურნეობის დარგებიდან შედარებით განვითარებულია მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და მევენახეობა.

ქალაქის უმთავრეს სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემად რჩება უმუშევრობის მაღალი დონე (10.7% 2014 წლის მონაცემებით). მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 14-16 %-ს შეადგენს.

8. ურბანული გარემოს ხარისხი

ჭიათურა მწვავე ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას. დაბინძურებული ჰაერი, ნიადაგი და წყალი შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი შესამჩნევია. ნებისმიერ გამვლელს თვალში ხვდება ქალაქის ქუჩებში, გზის პირებზე, მწვანე ნარგავების ფოთლებზე, შენობებზე თუ შენობებში დაფენილი შავი მტვრის ფენები, ონკანში სასმელი წყლის ამღვრეული, დაბურული ფერი და ტალახისფერი მდინარე ყვირილა. ეს ყველაფერი კი მანგანუმის მოპოვების წესების დაუცველობის შედეგია. მანგანუმის მოპოვება-გადამუშავების შედეგად წარმოიქმნება მანგანუმისა და რკინის ნაერთები, რომელიც მტვრის სახით ვრცელდება ქალაქის ტერიტორიაზე და სოფლებში. ერევა ატმოსფერულ ჰაერს. ლაგდება მცენარეებზე და ნიადაგზე, შემდეგ ნალექებთან ერთად ჩაედინება ნიადაგის ღრმა ფენებში და ერევა კარსტულ წყლებს, რომელსაც მოსახლეობა მოიხმარს სხვადასხვა მიზნით.

8.1. ჰაერის ხარისხი

ჭიათურაში ჰაერის დაბინძურების დონე მრავალჯერ აღემატება დასაშვებ კონცენტრაციას. ატმოსფერული ჰაერი დაბინძურებულია მანგანუმის დიოქსიდითა და ტრიოქსიდით, მძიმე მეტალებით. ჰაერში შეწონილი, ჯანმრთელობისათვის საშიში მინარევების დონე რამდენიმე ასეულჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას (ზდკ), რომელიც მტვრის სახით ლაგდება გზის პირებზე და წვიმების დროს შლამის სახით ილექება ქალაქის ქუჩებში. საწარმო, რომელიც ახორციელებს მადნის მოპოვებას, ვალდებულია უზრუნველყოს მტვრის შემცირება სხვადასხვა მექანიზმებით (ქუჩების მორწყვა, მადნის გატანა დახურული მანქანებით და სხვ.), რაცსამწუხაროდარხორციელდება.

8.2. წყლის ხარისხი და ჩამდინარე წყლები

ჭიათურაში წყალმომარაგების სისტემები სრულად ამორტიზებულია და მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება დღემდე პრობლემად რჩება. ამასთან, წყლის გრაფიკით მიწოდებასთან ერთად მისი დაბინძურების საკითხიც დღემდე მწვავედ დგას, რაც გარკვეულწილად მანგანუმის ღია კარიერული წესით მოპოვებით არის განპირობებული. ვინაიდან ჭიათურაში სასმელი წყლის უმრავლესობა კარსტული წარმოშობისაა, უხვნალექიანობის დროს მოდინებული დაბინძურებული წყალი უერთდება სასმელ წყალს, რაც იწვევს მის ამღვრევას და დაბინძურებას და შედეგად ქალაქის მოსახლეობას რამოდენიმე დღით უწყდება წყალმომარაგება. ამასთან სასმელი წყლის წყალმომარაგების ქსელში გაშვებამდე არ ხდება მისი გასუთავება (დაქლორვა).
სავსებით მოძველებულია წყალარინების ქსელი. ქსელს რამოდენიმე ათეული წელია არ ჩატარებია რეაბილიტაცია, შედეგად ხშირია ავარიები. ქალაქს გააჩნია საკანალიზაციო კოლექტორები, თუმცა, წყალგამწმენდი ნაგებობა არაა მოწყობილი და ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეში.

ძალიან არის დაბინძურებული მდინარე ყვირილა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მისი დაბინძურების კიდევ ერთი წყარო არის ის, რომ არ ხდება ქარხნებიდან გამოსული ჩამდინარე

წყლების გაწმენდა და საწარმოო ნარჩენებით დაბინძურებული შენაკადებიდან მანგანუმის ნარჩენები პირდაპირ ჩაედინება მდინარეში. ამას ემატება ისიც, რომ წყლის დაბინძურება გრძელდება მდინარის ნაპირებზე გამოლექილი მადნის ნარჩენებიდან. ე.წ. „კუდები“ წარმოადგენს ჰაერის, ნიადაგის და წყლის დამატებით დაბინძურების წყაროს. მდინარე ყვირილას წყალი მიეკუთვნება საგანგებოდ მაღალი ხარისიხის დაბინძურების წყლის ობიექტებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ წყლის გამოყენება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნით დაუშვებელია. თუ მოხდება წყლის გაფილტვრა და ქიმიური შემადგენლობის გაკონტროლება, ასეთ შემთხვევაში მდინარე ყვირილას წყალი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი აღარ იქნება.

8.3 მყარი ნარჩენების მართვა

ჭიათურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და დასუფთავებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრი“. ნარჩენების გადაზიდვა ხდება ჭიათურიდან 15 კმ-ით დაშორებულ ნაგავსაყრელზე. საწარმოს ბალანსზე რიცხული ტექნიკის განახლება ხდება ეტაპობრივად. დასახლებებში უნებართვო ნაგავსაყრელების დიდი ნაწილი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სანიტარული ნაგავსაყრელისთვის დადგენილ პირობებს, განლაგებულია მდინარეების აუზში და ხევებში, რის გამოც ატმოსფერული ნალექის და წყალდიდობის დროს ადგილი აქვს მდინარეებში ნარჩენების ჩარეცხვის ფაქტებს.

8.4 ბუნებრივი კატასტროფები

მუნიციპალიტეტი გეოლოგიური საშიშროებისა და კლიმატის ცვლილებების თვალსაზრისით, ერთ–ერთ ურთულეს მოწყვლად სივრცეს წარმოადგენს და ხასიათდება მეწყერებით, ღვარცოფებით, ეროზიული პროცესებით, წყალდიდობებითა და გრუნტის წყლების შეტბორვებით. პერიოდულად ახასიათებს მაღალი სეისმური ფონის წარმოქმნა. პროცესების გააქტიურებას, ექსტრემალურ გეოლოგიურ და მორფოლოგიურ პირობებთან ერთად, განაპირობებს კლიმატის ცვლილების, გლობალური დათბობის ზეგავლენა. მუნიციპალიტეტში საგრძნობლადაა გააქტიურებული სხვადასხვა სტიქიური მოვლენები - წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი. სტიქიური მოვლენების სიხშირისა და ინტესივობის ზრდამ გააძლიერა მიწის ეროზია და სასოფლო-სამაეურნეო სავარგულების დაზიანება.

ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. ამასთან, მეწყრული მოვლენები ძირითადად საცხოვრებელ სახლებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას (გზებს, წყალსადენებს) აზიანებს.

9. ჩარევის შესაძლებლობები

9.1 ინსტიტუციური მოწყობა და მართვა

ჭიათურა არ არის თვითმმართველი ქალაქი, შესაბამისად მისი მართვა ხდება მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და ასევე მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ტერიტორიულ ერთეულებში დანიშნული წარმომადგენლების მეშვეობით.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო არის საკრებულო, რომელიც შედგება 15 პროპორციული წესით არჩეული და 16 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეული მაჟორიტარი დეპუტატებისაგან.

აღმასრულებელი ორგანოა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა. გამგეობა შედგება სტრუქტურული (გამგეობის სამსახურები) და ტერიტორიული ერთეულებისაგან, რომლებიც მოიცავსქ. ჭიათურას და 15 ადმინისტრაციულ ერთეულს (დასახლებათა გაერთიანებას). ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი არის თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენელი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

ქალაქის მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც დაკავშირებულია მართვასთან არის მისი ტერიტორიის სამთო მინაკუთვნში შეტანის საკითხი. ქალაქის ტერიტორია შეტანილია მანგანუმის მომპოვებელი კომპანიისადმი გაცემული ლიცენზიის სამთო მინაკუთვნში 2006 წლიდან, რითაც ქალაქში სივრცით განვითარებასთან და სხვა ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების უფლებამოსილებას ანიჭებს ლიცენზიის მფლობელ კომპანიას. აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებს ქალაქის მართვას და ჯანსაღ განვითარებას.

9.2. ფინანსური რესურსები

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2016 წლისათვის განისაზღვრება 17 660 221 ლარით (აქედან საკუთარი შემოსავლები 11 410 000 ლარს შეადგენს - მათ შორის 1 100 000 ლარი ქონების გადასახადიდან, ხოლო 820 000 ლარი საშემოსავლო გადასახადიდან). 10 734 029 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერია. ფინანსების დაგეგმვა ხდება ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენისა და შეფასების შედეგად.

9.3 საკანონმდებლო კონტექსტი

საბჭოთა კავშირის პერიოდში, დასახლებათა კონკრეტულ სტატუსს - სოფელი, დაბა, ქალაქი - განსაზღვრავდა ქალაქგეგმარების სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტაცია. 1963 წელს გამოცემული „დამგეგმარებლის ცნობარი. ქალაქთმშენებლობა“, ნაწილი - „დასახლებული პუნქტის ქალაქებისა და მუშათა (ქალაქის ტიპის) დაბებისადმი

მიკუთვნების ძირითადი კრიტერიუმები“ - ადგენდა ამ კრიტერიმებს დიფერენცირებულად, თითოელი რესპუბლიკის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. საქართველოს სსრ-სთვის ეს კრიტერიუმები იყო: ქალაქისათვის - მოსახლეობა არანაკლებ 5,000; მოსახლეობის შემადგენლობა - მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები - არანაკლებ 75%-სა ქალაქის ტიპის დასახლებისათვის შესაბამისად - 2,000 და 75%. ამასთან ერთად, საქართველოს სსრ კანონმდებლობა უშვებდა, გამონაკლისის სახით, დაბის სტატუსის მინიჭებას ნაკლები მოსახლეობის მქონე დასახლებებისათვის, რომლებიც პერსპექტიულად იყვნენ მიჩნეულნი ეკონომიკური, კულტურული თუ ადმინისტრაციული თვალსაზრისით

საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ დასახლებათა სტატუსის მისანიჭებლად გამოყენებული მახასიათებლები შეიცვალა. დღეს ამ პირობებს განსაზღვრავს 2014 წლის 5 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მე-4 მუხლის თანახმად „ქალაქი – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტულ, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ- კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, ანდა ის ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.“

ამდენად ჭიათურა, რომლის მოსახლეობა 12000-ს აღემატება და ზემოთმოცემული შესაბამისი პარამეტრების მატარებელია, იმსახურებს თვითმმართველი საქალაქო დასახლების სტატუსს (იხ. რუკა 3).

10. ურბანული ფუნქციები/მიწის გამოყენების მახასიათებლები

10.1. მიწათსარგებლობის ძირითადი ფორმები

ქალაქს დღეისათვის არ გააჩნია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და უფლებრივი ზონირების დოკუმენტი. 1979 წლებში შექმნილი გენერალური გეგმა, სადაც ნაჩვენებია მიწათსარგებლობის ფორმები, რომელიც ძირითადად მოიცავდა სამრეწველო, საცხოვრებელ, ადმინისტრაციულ და სარეკრეაციო ზონებს, თითქმის შეესაბამება არსებულ მდგომარეობას.



რუკა 3. ქ. ჭიათურიის ფუნქციური ზონირება, 2011

10.2. ძირითადი ფუნქციები და გამოყენებები

ქალაქის ძირითად ფუნქციურ კომპონენტს წარმოადგენს მანგანუმის მოპოვება-გამდიდრების ინდუსტრია და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მანგანუმის ინდუსტრია დღემდე ფუნქციონირებს, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მეტად შემცირებული სიმძლავრეების გამო გამამდიდრებელი ქარხნების და ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი უფუნქციო ან მხოლოდ ნაწილობრივ დატვირთულია.

ქალაქის ცენტრში თავმოყრილი ფუნქციებიდან აღსანიშნავია, ადმინისტრაციული, კომერციული, საგანმანათლებლო, სარეკრეაციო. ქალაქში არის საფეხბურთო სტადიონი 10 000 მაყურებელზე, მუზეუმი, თეატრი, კულტურის ცენტრი. იმის გამო რომ ბოლო 25 წლის მანძილზე აღნიშნულ ინფრასტრუქტურის განახლება პრაქტიკულად არ ხდებოდა, დღეისათვის ამ ნაგებობათა უმეტესიბა საჭიროებს საფუძვლიან რესტავრაცია-რეაბილიტაციას.

ჭიათურაში ფუნქციონირებს 7 საჯარო და 2 კერძო სკოლა (სადაც სწავლობს 2500-მდე მოსწავლე) და 11 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. ქალაქში ასევე ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ამზადებს სამთო საქმის სპეციალისტებს.

კულტურის დაწესებულებებიდან აღსანიშნავია:

ა) კულტურის ცენტრი. გაიხსნა 1967 წელს. შენობა პროექტის ავტორია კ. ჩხეიძემ. საკონცერტო დარბაზის ჭერის მხატვრობა შეასრულა რობერტ სტურუამ, ხოლო ამჟამინდელი მუზეუმის საგამოფენო დარბაზის კოკა იგნატოვმა. დღეისათვის კულტურის ცენტრი ემსახურება 800-ზე მეტ მოსწავლეს.

ბ) აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო ჭიათურის დრამატული თეატრი. გაიხსნა 1949 წელს. მისი არქიტექტორია ვ. ჩხეიძე, ხოლო მოხატულობა ეკუთვნის რობერტ სტურუას. ჭიათურის თეატრის დასში მუშაობდა ქართული სცენის ბევრი გამოჩენილი ოსტატი: გრიგოლ ტყაბლაძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, თამარ აბაშიძე, გიორგი ნუცუბიძე, მიხეილ ვაშაძე, პავლე ფრანგიშვილი,ნოდარ ჩაჩანიძე და სხვები.

გ) ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დაფუძნდა 1962 წელს. დღეს იგი კულტურის სახლშია განთავსებული. აქ დაცულია ჭიათურის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულით დათარიღებული ბრინჯაოს ცულები, შუბისპირები, ქინძისთავები, მძივები, ასევე ნუმიზმატიკური და ეთნოგრაფიული ნიმუშები, ადგილობრივ მხატვართა ფერწერული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ფოტო მასალა, სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალები.

ქალაქში ფუნქციონირებს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი, 2 სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, ცენტრალური ბიბლიოთეკის დაქვემდებარებაში შემავალი 10 ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრს დაქვემდებარებული 15 ბიბლიოთეკა.

ტურისტული ინფრასტრუქტურა ჭიათურაში საკმაოდ მწირია. არ არის ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრი. ვიზიტორებს არ აქვთ საშუალება მიიღონ ინფორმაცია ქალაქში და მუნიციპალიტეტში არსებულ ღირშესანიშნაობებზე. ქალაქში ფუნქციონირებს 2 მცირე სასტუმრო და ასევე 3 საოჯარო ტიპის სასტუმრო, თუმცა შეთავაზებული სერვისი არ არის სასურველად მაღალი დონის. რესტორნები, კაფეები, სწრაფი კვების ობიექტები უმეტესად გათვლილია დამალშემოსავლიანი ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურებაზე.

ქალაქში არის 1 საავადმყოფო და 1 პოლიკლინიკა. სავადმყოფო (შ.პ.ს. „ჯეოჰოსპიტალსი“), რომელიც აშენდა 2012 წელს, განკუთვნილია 25 საწოლზე. გამომდინარე იქედან რომ, ჭიათურა სამთო მრეწველობის ქალაქია და ჯორჯოან მანგანეზში დასაქმებულია 3000-ზე მეტი ადამიანი, 25 საწოლიანი საავადმყოფო არასაკმარისია. მაღაროებზე მოძველებული ინფრასტრუქტურისა და მანქანა-დანადგარების გამო ხშირია ავარიები, რომლებიც ფატალური შედეგებითაც კი მთავრდება.

ქალაქში ასევე ფუნქციონირებს სპორტული დაწესებულებები, რომლებიც იმყოფებიან ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 სასპორტო სკოლის ბალანსზე: ცენტრალური სპორტული კომპლექსი, რომელიც მოიცავს ფეხბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის და წყალბურთის მოედნებს. ქალაქის ერთ-ერთი უბნის „ნაგუთის“ დასახლების სპორტული კომპლექსი, სადაც განთავსებულია ძიუდოსა და ძალოსნობის დარბაზები, თავისუფალი ჭიდაობისა და კრივის დარბაზები, დახურული მინი საფეხბურთო მოედანი, საფეხბურთო კლუბი „ჭიათურა“. ნაგუთის საფეხბურთო სტადიონის ბაზაზე არსებული საფეხბურთო სკოლა.

10.3. სატრანსპორტო და საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 651,5 კმ-ია, რომელთაგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიას კვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი- საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 20 კმ-იანი მონაკვეთი, ხოლო დანარჩენი შიდასასოფლო და საუბნო გზებია. ასფალტო-ბეტონის ან ბეტონის საფარით მოწყობილია 339,7 კმ სიგრძის საავტომობილო გზა, ხოლო მოხრეშილია 311.8 კმ-იანი გზის მონაკვეთი.

ჭიათურის საავტომობილო გზების ნაწილი ამორტიზირებულია. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია შიდა-საუბნო გზები, რომლებიც ქალაქის რთული რელიეფიდან გამომდინარე ხშირად ზიანდება. პრობლემურია ასევე სანიაღვრე არხები, რომლებიც საჭიროებს აღდგენა-რესტავრაციას.

ქალაქში არსებობს 4 სამანქანო და 5 საფეხმავლო ხიდი, რომლებიც ქალაქის მშენებლობასთან ერთად შეიქმნა და საკმაოდ კომფორტულადაა შერწყმული ქალაქის ურბანულ განვითარებასთან.

ჭიათურაში გადის ზესტაფონი-საჩხერის სარკინიგზო ხაზის მონაკვეთი, ქალაქზე გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე-გომი, რომლითაც ჭიათურა უმოკლესი გზით უკავშირდება თბილისს.

შიდა საქალაქო ტრანსპორტია ავტობუსები, მიკროავტობუსები და ბაგირგზები, რომლითაც ქალაქის თითქმის ყველა უბანი დაკავშირებული ცენტრთან.

გადაადგილებისა და ტვირთების გადატანის საშუალებას წარმოადგენს საავტომობილო, სარკინიგზო ტრანსპორტი და საბაგირო გზები. საჰაერო ტრანსპორტმა დიდი როლი ითამაშა ქალაქის განვითარებაში. დღეისათვის მათი უმრავლესობა ამორტიზებულია, თუმცა ფუნქციონირებს, როგორც უალტერნატივო, ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობებს შორის, 2014 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც დაგეგმილია ქალაქში არსებული ცენტრალური, ამორტიზირებული სამმხრივი საბაგირო სადგურის დემონტაჟი და ახალი, თანამედროვე ტიპის სადგურით ჩანაცვლება.

მუნიციპალიტეტში ასევე არსებობდა სხვა ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებაც, როგორიცაა ტროლეიბუსი, რომელიც ჭიათურას აკავშირებდა ახლო მოსაზღვრე მუნიციპალიტეტთან - საჩხერესთან. დღეისათვის ეს სატრანსპორტო საშუალება აღარ ფუნქციონირებს.

ძირითადი მგზავრთნაკადები და ტვირთნაკადებია ჭიათურის მუნიციპალიტეტი–თბილისი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი–ქუთაისი, ჭიათურა–მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები და თემების მიმართულებით. ნაკადები სეზონური ხასიათისაა და ზამთრის პერიოდში დაბალი ინტენსივობით ხასიათდება. მუნიციპალიტეტის ცენტრს სოფლები ძირითადად ბაზრობის დღეებში უკავშირდება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანებს უზრუნველყოფს კერძო საკუთრებაში არსებული და 100%–იან სახელმწიფო წილზე დაფუძნებული კომპანიები. სახელმწიფო კომპანია ამ დროისათვის ფლობს მხოლოდ 2 ერთეულ ავტობუსს, რომლებიც მოძველებულია. ავტობუსების პარკი საჭიროებს განახლებას.

11. საბინაო ფონდი

ჭიათურის განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი განაშენიანებაა დამახასიათებელი. ერთბინიან განაშენიანებაში 20-საუკუნის დასაწყისიდან იჭრება სხვადასხვა პერიოდის, არქიტექტურული სტილისა და მასშტაბის მრავალბინიანი კორპუსები. 1970-80-იან წლებში აშენებული მაღლივი საცხოვრებელი კორპუსები დღეისათვის ქალაქის ლანდშაფტის თვალშისაცემი ელემენტებია. საბჭოთა მმართველობის გაუქმების შემდგომ აღნიშნული საცხოვრებელი ფონდი უსასყიდლოდ გადაეცა მაცხოვრებლებს კერძო საკუთრებაში.ეკონომიკური სიდუხჭირის და მოვლა-პატრონობის ნაკლებობის გამო აღნიშნული საცხოვრებლების ფიზიკური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ნაგებობები ნგრევის რისკის ქვეშ დგას.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შესაძლებლობა კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრები, რის გამოც დეგრადაციის პროცესი გრძელდება. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაცია და ცარიელი ბინებისა და სახლების მზარდი რიცხვი ქალაქში.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგ საცხოვრებელ კვარტლებში ურბანული გარემოს ხარისხიმაღალი ან დამაკმაყოფილებელია, რაც მდგომარეობს დამხმარე ინფრასტრუქტურის და სერვისების არსებობაში. თითქმის ყველა კვარტალურ დასახლებაში არსებობს სარეკრეაციო ზონები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მცირე სავაჭრო პუნქტები, თუმცა აღნიშნული ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას. ასევე საჭიროა დამხმარე ინფრასტრუქტურის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება.

ქალაქში არსებობს 1960-70 წლების არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული შენობები, რომლებიც წარმოადგენენ კერძო საკუთრებას და სიძველის და მიტოვებულობის გამო ზიანდება. საჭიროა მოხდეს ასეთი შენობა-ნაგებობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღრიცხვა, მათი დაცვის მიზნით.

12. SWOT ანალიზი

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	საფრთხეები	შესაძლებლობები
სოციალურ-ეკონომიკური	• გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობა • არსებული სატრანსპორტოკომუნიკაცია (გზები, რკინიგზა) • ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები • მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები • ინვესტიციების მზარდი დინამიკა • მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა • მთის კანონის ამოქმედება	• ქალაქის ეკონომიკის მონოფუნქციურობა და დამოკიდებულება მანგანუმის კერძო ინდუსტრიაზე; • შრომისუნარიანი და პროდუქტული მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე; • უმუშევრობის მაღალი დონე; • ახალგაზრდების დივერსიფიცირებული დასაქმების მცირე შესაძლებლობა • ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბიზნესის სტიმულირების მცირე შესაძლებლობა	• ეროვნულ დონეზე მაკროეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა; • ეროვნულ და ადგილობრივ მხარეებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა;	• ალტერნატიული ეკონომიკური აქტივობების, მათ შორის ტურიზმის განვითარება • სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების განვითარება;
განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა	• მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციები და მათი განვითარების პერსპექტივები • სპორტული ტრადიციები (საქართველოში პირველი საჩობგურთო გამოცდილება) • ექსტრემალური სპორტის (მეკლდეურობა) განვითარების პერსპექტივა • მდიდარი თეატრალური ტრადიცია 19 საუკუნიდან	• კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება • ახალგაზრდების გადინება • უმუშევრობის მაღალი დონე • ახალგაზრდების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი	• არასაკმარისი დაფინანსება და ხელშეწყობა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე;	• საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამების განხორციელება
კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	• გამორჩეული ლანდშაფტი; • კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების სიუხვე ქალაქში და მის შემოგარენში; • კულტურული მემკვიდრეობის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური მრავალფეროვნება; • ინდუსტრიული და საინჟინრო მემკვიდრეობა - საქართველოში ახალი მიმართულება და უდიდესი	• ადგილობრივი მოსახლეობის და მანგანუმის ინდუსტრიის მესვეურთა მხრიდან ქალაქის ინდუსტრიული და საინჟინრო მემკვიდრეობის აღქმის არარსებობა; • ბოლო წლებში დანგრეული ინდუსტრიული მემკვიდრეობის სიმრავლე.; • ინვენტარიზაციის და	• არასაკმარისი დაფინანსება და ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე; • ეროვნულ და ადგილობრივ მხარეებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა;	• ჭიათურის ტურისტული პოტენციალის განვითარება; • კულტურული და სამეცნიერო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება; • ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა ტრადიციული წარმოების ასევე მომსახურების

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	საფრთხეები	შესაძლებლობები
	პოტენციალი; • არქეოლოგიური ზონები • ადგილობრივი სამზარეულო და სტუმართმოყვარეობის ტრადიციები; • მანგანუმის ინდუსტრიის განვითარების ისტორია და მასთან დაკავშირებული ცნობილი საზოგადო მოღვაწეები;	განახლებული ძეგლთა ნუსხების არარსებობა, შესაბამისად უკონტროლო მიშენებები და გადაკეთებები ისტორიულ შენობებზე; • მიტოვებული და ვაკანტური ისტორიული შენობების სიმრავლე; • მანგანუმის ინსდუსტრიის შედეგად დაბინძურებული და დეგრადირებული გარემო; • მანგანუმის ინდუსტრიასთან დაკავშირბეული პრობლემების და ამორტიზებული ინფრასტრუქტურის შედეგად - ქალაქის ნეგატიური იმიჯი;		ბიზნესში ჩართვით;
ინფრასტრუქტურა	• არსებული სატრანსპორტოკომუნიკაციები (გზები, რკინიგზა) • იაფი მუშახელი • საბინაო ინფრასტქუქტურის გაუმჯობესების მუნიციპალური პროგრამების არსებობა • ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის არსებობა	• კვალიფიციური შრომითი რესურსების გადინება • შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის ნაკლებობა • მოძველებული საწარმოო ტექნიკური ბაზა • ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა • ამორტიზებული საბინაო ფონდი • მდინარეების დაბინძურება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით • ქალაქის ინფრასტრუქტურული ქსელების (მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები) ერთიანი ბაზის (რუკის) არარსებობა	• დაფინანსების ნაკლებობა და ეროვნულ დონეზე არასათანადო ხელშეწყობა; • ეროვნულ და ადგილობრივ მხარეებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა; • კოორდინაციის ნაკლებობის შემთხვევაში არსებული ფინანსების შეუსაბამო გამოყენება; • ბუნებრივი კატასტროფები;	• ინვესტორთა დაინტერესების ზრდა • ქალაქის პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობის ზრდა

ხედვა

გრძელვადიან პერსპექტივში ჭიათურა ეკონომიკურად ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი თვითმმართველი ქალაქია, სადაც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენება. ბუნებრივი კატასტროფების, ადამიანთა ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე შესაძლო ზიანისა და ეკონომიკური ზარალის რისკები მინიმუმამდეა შემცირებული.

მრეწველობა, ინოვაციური ტექნოლოგიები და ტურიზმი ქალაქის ეკონომიკის წამყვანი დარგებია. მცირდება მიგრაცია და იზრდება ქალაქის მოსახლეობა, განვითარებულია მცირე და საშუალო მეწარმეობა. მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული თვითმმართველობაში.

Funded by the European Union and the Council of Europe
EUROPEAN UNION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Implemented by the Council of Europe

სტრატეგიული ამოცანები და ქმედებები

ამოცანა 1: ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

პრიორიტეტული ქმედებები:

- ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და სხვა ქალაქმშენებლბითი დოკუმენტაციის შედგენა, დამტკიცება;
- გეგმის შესაბამისად საზოგადოებრივი სივრცეების, მათ შორის გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობა;
- გარე განათების, შუქნიშნების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- საბავშვო და სპორტული მოედნების, პარკების სარეკრეაციო სივრცეების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა, მათ შორის საზოგადოებრივი ტუალეტებით აღჭურვა;
- საკანალიზაციო სისტემების, სანიაღვრეების, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია;
- საცხოვრებელი ფონდის რეაბლიტაცია-შეკეთება;

ამოცანა 2: ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტული ქმედებები:

- თვითმმართველობის ქონების რეგისტრაცია და მისი გამოყენების, ადაპტაციისა და განვითარების პროგრამების შემუშავება;
- მიკრო და მცირე მეწარმეობის, მათ შორის სოფლის მეურნეობის დარგების ხელშეწყობა შესაბამის სახელმწიფო სამსახურებთან თანამშრომლობით;
- მოსახლეობის დაინტერესებული ჯგუფების გამოვლენა, ტრეინინგების და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სხვადასხვა მიმართულებით (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, რეწვა და სხვა) მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის (ბიზნეს გეგმის მომზადება, მარკეტინგი და ბრენდინგი, ტექნოლოგიები და სხვ.)
- ტურიზმის, მათ შორის კულტურული, სამეცნიერო, ეკო, აგრო და ექსტრემალური სახეობების განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;

ამოცანა 3: გარემოს დაცვა

პრიორიტეტული ქმედებები:

- შესაბამის სახელმწიფო სამსახურებთან ერთად მანგანუმის მრეწველობის პროცესის გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი და გარემოს დეგრადაციის შემცირებაზე ზრუნვა; მათ შორის კლდის მასივების მდგომარეობის კვლევა, მონიტორინგი და რისკების შემცირების გეგმის მომზადება-განხორციელებალ;
- ქალაქის გამწვანების კონცეფციის შემუშავება-განხორციელება, ნარგავების მოვლა-პატრონობა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა;

ამოცანა 4: კულტურა, განათლება და სპორტი

პრიორიტეტული ქმედებები:

- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობა ჭიათურის როგორც შემოქმედებითი ინდუსტრიების ქალაქის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მომზადებ-განხორცელების კუთხით;
- აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად, შემოქმედებითი ჯგუფების, გასტროლების, ფესტივალების, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების ისტორიის მუზეუმის აღდგენა და მისი განვითარების ხელშეწყობა;
- ჭიათურის ჩართვა ევროპის საბჭოს ინდუსტრიული მემკვიდრეობის მარშრუტში;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ჭიათურის კულტურული მემკვიდრეობის კვლევა-ინვენტარიზაცია და შესაბამისი დაცვისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა;
- ჭიათურის ინდუსტრიული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე პოპულაციზაციის შესაძლებლობების შეფასება, მათ შორი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ეროვნულ წინასწარულ ნუსხაში შეტანის შესაძლებლობის ანალიზი;
- სპორტის პოპულარული სახეობების, მათ შორის ჩოგბურთის, რაგბის, ფეხბურთის და ასევე მეკლდეურობის განვითარების მხარდაჭერა;
- თემატური ახალგაზრდული ბანაკების მხარდაჭერა;
- ინოვაციების ახალგაზრდული ცენტრის შექმნის მხარდაჭერა ეროვნულ უწყებებთან თანამშრომლობით;